# ტესტი ისტორიაში

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

**ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.**

**ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

**ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-24.** თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. ქართველი მემატიანე სუმბატ დავითის ძე წერს, „გარდაიცვალა ბაგრატ რეგუენი ქართველთა მეფე, ძე კურთხეულისა სუმბატ კურაპალატისა, ქრონიკონსა სიდ (214) და დაუტევა ძე თჳსი უხუცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა-მეფე“. რომელ წელს გარდაცვლილა ბაგრატ რეგუენი ქართველთა მეფე?

ა. 884

ბ. 934

გ. 994

დ. 1004

2. „ზღვის ხალხების“ რომელ მხარეში შეჭრას მოჰყვა იქ არსებული სახელმწიფოს განადგურება?

ა. ჩრდილოეთ აფრიკაში

ბ. შუამდინარეთში

გ. მცირე აზიაში

დ. ბალკანეთში

3. ვინ იყო ცნობილი ბერძენი კომედიოგრაფი, რომელიც მწარედ დასცინოდა თანამედროვეებს?

ა. არისტოფანე

ბ. ევრიპიდე

გ. ესქილე

დ. სოფოკლე

**4. რა იყო ფარნავაზ მეფის მიერ არმაზის კერპის აღმართვის მთავარი მიზანი?**

ა. ერთღმერთიანობის დაწესება

ბ. კერპთაყვანისმცემლობის შემოღება

გ. მნათობთა თაყვანისცემის დაფუძნება

დ. საერთო უზენაესი ღვთაების კულტის შექმნა

## 5. რომელი სახელმწიფოს ძლიერების ხანაა ასახული რუკაზე?

ა. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის

ბ. ფრანკთა სამეფოს

გ. არაბთა სახალიფოს

დ. რომის იმპერიის

**6. რით დასრულდა საბოლოოდ რომის რესპუბლიკაში მიმდინარე სამოქალაქო ომების ხანგრძლივი ეპოქა?**

ა. სულას ერთპიროვნული მმართველობით

ბ. გნეუს პომპეუსის დიქტატურით

გ. სერვიუს ტულიუსის მეფობით

დ. ოქტავიუსის იმპერატორობით

## 7. რომელი დინასტიის წარმომადგენელი იყო ფრანკთა მეფე ხლოდვიგი?

ა. ვალუას

ბ. მეროვინგების

გ. კაპეტინგების

დ. კაროლინგების

**8. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ბიზანტიის იმპერატორთა მიერ ხატმებრძოლთა მხარდაჭერა?**

ა. რომის პაპთან დაახლოების სურვილმა

ბ. სახელმწიფოში სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობამ

გ. მდიდარი საეკლესიო ქონების  დაპატრონების სურვილმა

დ. საეკლესიო კრების დადგენილებით განსაზღვრულმა ვალდებულებამ

## 9. რას წარმოადგენდა ფეოდი შუა საუკუნეების ევროპაში?

ა. ვასალის მიერ სენიორისათვის მფარველობის სანაცვლოდ დათმობილ მიწის ნაკვეთს

ბ. ყმა-გლეხების მიერ ფეოდალთათვის მათი მიწიდან გადასახდელ ბეგარასა და ღალას

გ. ფეოდალთა მიერ ყმა-გლეხებისათვის დასამუშავებლად და მოსავლელად გადაცემულ მიწას

დ. სენიორის მიერ ვასალისათვის სამსახურის სანაცვლოდ ბოძებულ მიწის ნაკვეთს

## 10. რომელია „კაროლინგური აღორძინების“ პერიოდის სახელგანთქმული სწავლული?

ა. თომა აქვინელი

ბ. ვულფილა

გ. აინჰარდი

დ. პიერ აბელარი

## 11. რომელ ქალაქში ააგეს აბასიანთა მმართველობის დროს „სიბრძნის სახლი“?

ა. ბაღდადში

ბ. იერუსალიმში

გ. ალექსანდრიაში

დ. გრანადაში

**12. რას წარმოადგენდა ინვესტიტურა, რის გამოც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ რომის პაპები და საღვთო რომის იმპერატორები?**

ა. გადასახადების დაწესებისა და აკრეფის პრეროგატივას

ბ. დიპტიქში პირველ ადგილზე მოხსენიების პატივს

გ. ეპისკოპოსების ერთპიროვნულად დანიშვნის უფლებას

დ. მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის პრივილეგიას

**13. რომელი ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ნაშრომს გაეცნენ ევროპელები არაბული თარგმანის მეშვეობით შუა საუკუნეებში?**

ა. არისტოტელეს

ბ. ვერგილიუსის

გ. დემოკრიტეს

დ. ფლავიუსის

**14. ბაგრატ III ფლობდა კურაპალატობას, ბაგრატ IV - უფრო მაღალ ტიტულს სევასტოსისას, ხოლო გიორგი II კესაროსად იწოდებოდა. რაზე მიუთითებს ეს ფაქტი?**

ა. საქართველოს სამეფოს ტერიტორიულ გაფართოებაზე

ბ. ბიზანტიისათვის საქართველოს მნიშვნელობის ზრდაზე

გ. ჯვაროსნულ ლაშქრობაში ქართველთა აქტიურ მონაწილეობაზე

დ. თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ქართველთა წარმატებულ ბრძოლაზე

## 15. ვინ იყო ნიზამ ალ-მულქი?

ა. არაბთა სახალიფოს უმაღლესი საერო ხელისუფალი

ბ. ილხანთა სახელმწიფოს დივანის ხელმძღვანელი

გ. სელჩუკთა სასულთნოს ყველაზე გავლენიანი ვეზირი

დ. სასანიანთა ირანის სახელმწიფოს უზენაესი მოგვი

## 16. რამ გამოიწვია დაპირისპირება ჰენრი II პლანტაგენეტსა და თომას ბეკეტს შორის?

ა. ბეკეტის თაოსნობით რომის პაპის წინააღმდეგ დაწყებულმა აგიტაციამ

ბ. ჰენრის გამოცხადებამ ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად

გ. ბეკეტის მიერ თავისუფლების დიდი ქარტიის მხარდაჭერამ

დ. ჰენრის სურვილმა, დაექვემდებარებინა სასულიერო პირები

## 17. რა უნდა მივიჩნიოთ დავით IV-ის მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად?

ა. სახელმწიფო მმართველობის ახალი სისტემის ჩამოყალიბება

ბ. ფეოდალური საზოგადოებისათვის სამართლის ახალი კრებულის შექმნა

გ. მანამდე მოქმედი საეკლესიო სტრუქტურის ძირფესვიანი გარდაქმნა

დ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება

**18. კაპეტინგების დინასტიის მმართველობის დასრულების შემდეგ ინგლისის მეფემ წამოაყენა პრეტენზია საფრანგეთის ტახტზე. რის საფუძველზე გამოთქვა მან ეს პრეტენზია?**

ა. ნორმანდიის ჰერცოგი იყო და საფრანგეთის პირველ პერად ითვლებოდა

ბ. საფრანგეთის მეფის, ფილიპე ლამაზის შვილიშვილი იყო

გ. პარიზის გრაფის ტიტულს ფლობდა და მეფისნაცვლად ითვლებოდა

დ. საფრანგეთის მეფის, უშვილო ლუი წმინდანის ძმისშვილი იყო

## 19. რა ისტორიული პროცესია ასახული ილუსტრაციაზე წარმოდგენილ რუკებზე?




ა. დეკოლონიზაცია

ბ. რეკონკისტა

გ. რესტავრაცია

დ. რისორჯიმენტო

**20. რა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საქართველოდან წარგზავნილმა პირებმა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება დატოვეს?**

ა. კრებაზე გაცხადებული იდეა, დასავლური და აღმოსავლური ეკლესიების გაერთიანებისა რომის პაპის გამგებლობის ქვეშ

ბ. კრების მსვლელობისას მიღებული გადაწყვეტილება, რომ აღარ შეიქმნებოდა ანტიოსმალური კოალიცია კონსტანტინოპოლის გასათავისუფლებლად

გ. კრების მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული ეკლესიის გამგებლობაში დაბრუნების მოთხოვნის უგულვებელყოფა

დ. რომის პაპის ერთპიროვნული გადაწყვეტილება კათოლიკური საეპისკოპოსო რეზიდენციის თბილისიდან სმირნაში გადატანაზე

## 21. რა იყო ოცდაათწლიანი ომის ერთ-ერთი მიზეზი?

ა. რელიგიური დაპირისპირება ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის ბალკანეთში

ბ. კონფესიური დაპირისპირება კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის ცენტრალურ ევროპაში

გ. საფრანგეთის და ინგლისის ინტერესთა კონფლიქტი ფლანდრიასა და ნიდერლანდებში

დ. ბრძოლა ევროპაში პირველობისთვის ესპანეთსა და საღვთო რომის იმპერიას შორის

## 22. რა იყო 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის ერთ-ერთი შედეგი?

ა. რუსეთს გადაეცა სამცხე-ჯავახეთი ახალციხითა და ახალქალაქით

ბ. ოსმალეთმა რუსეთის შემადგენლობაში ცნო ქართლი და კახეთი

გ. რუსეთმა დაიკავა აჭარა და დაეუფლა ბათუმსა და ქობულეთს

დ. ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო ლაზეთი და ყარსის ოლქი

**23. რომელი მოსაზრებაა მართებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებით?**

ა. მიუხედავად გამოცხადებული ნეიტრალიტეტისა, საქართველო რეალურად მაინც ანტანტის მოკავშირე იყო და სწორედ ამიტომ იმყოფებოდნენ აქ ბრიტანეთის სამხედრო ნაწილები 1919-1920 წლებში

ბ. საბჭოთა რუსეთთან დადებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ გერმანიის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მან სასწრაფოდ გაიყვანა საქართველოდან საკუთარი სამხედრო შენაერთები 1919 წელს

გ. არსებული ზავის მიუხედავად, ოსმალეთი მაინც აცხადებდა სერიოზულ ტერიტორიულ პრეტენზიებს საქართველოსადმი და ეს გახდა საქართველოს ერთა ლიგაში მიუღებლობის ერთ-ერთი მიზეზი 1920 წელს

დ. საქართველო იყო ევროპაში პირველი სახელმწიფო, სადაც ხელისუფლებაში სოციალისტები მოვიდნენ და ამან მნიშვნელოვნად განაპირობა მეორე ინტერნაციონალის წევრთა დელეგაციის სტუმრობა საქართველოში 1920 წელს

## 24. რომელი ისტორიული ეპიზოდია ასახული ფოტოსურათებზე?

ა. საბჭოთა და გერმანელი ოფიცრების შეხვედრა პოლონეთის ერთობლივი ოკუპაციისას ბრესტში

ბ. ავსტრიელი და გერმანელი ოფიცრების შეხვედრა ანშლუსისას ავსტრია-გერმანიის საზღვარზე

გ. ამერიკელი და საბჭოთა ოფიცრების შეხვედრა გერმანიის დამარცხების შემდეგ მდინარე ელბაზე

დ. ინგლისელი და ამერიკელი ოფიცრების შეხვედრა აფრიკაში ეგვიპტის გათავისუფლებისას

**ინსტრუქცია დავალებებისთვის №25-28.**

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

## 25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ბერძენი ისტორიკოსები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

1. პოლიბიოსი
2. ქსენოფონტე
3. პლუტარქე

## 26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში მომხდარი მოვლენები:

1. იერუსალიმის აღება სალადინის მიერ
2. ანტიოქიის სამთავროს დაარსება
3. დამიეტას ალყა

## 27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ხუროთმოძღვრული ძეგლები მათი აგების დროის მიხედვით:

1. ახალი შუამთა
2. იკორთა
3. ბარაკონი

**28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ლიტერატურული ნაწარმოებები მათში აღწერილი ეპოქების მიხედვით:**

1. გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“
2. მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“
3. ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“

**ინსტრუქცია დავალებისთვის № 29.**

მოსწავლეს მიეცა რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით, უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისთვის.

მოსწავლის მიერ გაცემული პასუხებიდან ორი (2) შეიცავს შეცდომას.

თქვენ უნდა იპოვოთ შეცდომა, გადმოწეროთ ის პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა - 2

**დავალება 29. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

| მოსწავლისთვის დასმული კითხვები: | მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები: |
|---|---|
| **29.1.** რა სახელწოდებითაა ცნობილი ის ისტორიული მოვლენა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენდა რუკაზე ასახული ექსპედიციები? | **29.1** დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები |
| **29.2.** რომელი სახელმწიფოდან განხორციელდა ყავისფერი ისრით აღნიშნული ექსპედიცია და ვინ იყო მისი ხელმძღვანელი? | **29.2.** ესპანეთიდან, კოლუმბი |
| **29.3.** რომელი სახელმწიფოდან განხორციელდა მწვანე ფერის ისრით აღნიშნული ექსპედიცია და ვინ იყო მისი ხელმძღვანელი? | **29.3.** პორტუგალიიდან, ვასკო და-გამა |
| **29.4.** რა იყო ყავისფერი ისრით აღნიშნული ექსპედიციის თავდაპირველი მიზანი? | **29.4.** ახალი კონტინენტის პოვნა |
| **29.5.** დაასახელეთ ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენა, რომელმაც ბიძგი მისცა რუკაზე აღნიშნულ ექსპედიციებს. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ. | **29.5.** რელიგიური ომები ევროპაში, რადგან დამარცხებული ჰუგენოტები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ევროპა |

**ინსტრუქცია დავალებისთვის № 30.**

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

## დავალება 30. ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

**დავალება 30.** წარმოდგენილი ფოტოები ეძღვნება იალტისა და პოტსდამის კონფერენციებს.

N1

N2

N3

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე**

## კითხვები:

(2) **30.1.** რომელ ფოტოზეა ასახული შეხვედრა იალტის კონფერენციაზე? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(2) **30.2.** პოტსდამის კონფერენციისას მიმდინარე შეხვედრების ამსახველი ორი ფოტოდან რომელია უფრო ადრე გადაღებული? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(2) **30.3.** რომელი სახელმწიფოს მეთაური შეიცვალა კონფერენციათაშორის პერიოდში და რატომ?

(1) **30.4.** ამავე სახელმწიფოთა მეთაურთა რომელ კონფერენციაზე შეხვედრის ამსახველი ფოტო *<u>არ არის</u>* წარმოდგენილი?

**ინსტრუქცია დავალებისთვის № 31.** ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 19.

## დავალება 31. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

## ნაწყვეტი თეიმურაზ ბაგრატიონის საისტორიო თხზულებიდან

ხოლო მომავალს გაზაფხულსა მოიცალა აღა-მაჰმად-ხანმან ხორასნის საქმისაგან და დიდისა განმზადებულებითა მხედრობისათა წარმოვიდა თერანით და მოვიდა არდავილს. მაშინ რუსთა მხედრობანი, უფალი ვალერიანე ზუბოვი და სხვანი, მიქცეულ იყვნეს როსიად დარუბანდის გზით და რომელნიმე მხედრობანი წარმოვიდეს საქართველოს გზით და დაშთეს საქართველოსა შინა შემდგომისა ჟამადვე.

იხილა რა იბრეიმ-ხანმან ყარაბაღისამან უკუქცევაი რუსთა და მოსვლა მეორედ კვალად აღა-მაჰმად-ხანისა, ვერღარა ძალ-იდვა მან განმაგრება შუშის ციხისა, ვინაიდგან მცირედნიღა დაშთომოდეს მას მცხოვრებთაგანი ყარაბაღისა, ვინაიდგან მიზეზითა აღა-მაჰმად-ხანის მიერ წარტყვენისათა ყოველნი მცხოვრებნი, რომელნი განერნეს ანუ დაშთეს მათ, შემდგომთა

**გადასვლა კითხვებზე:** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

წელთა არღა აქვნდათ ხვნაი და თესვაი, ვინაითგან არღარა ჰყავთ მათ პირუტყვი და დაიმშნეს.

ამისთვის აიყარნეს და შევიდეს უმრავლესნი მათგანნი ქართლსა, კახეთსა და სხვათა ადგილთა შინა და მრავალნი დაშთეს საქართველოსა შინა და არღარა უკუნიქცეს ყარაბაღად, არამედ დაეშენნეს საქართველოსა შინა. ხოლო თვით იბრეიმ-ხანს, რაიცა საკუთარი მისი ჰყვეს ყოველნივე წარეტყვევნეს სპარსთა. არღარა აქვნდა მას პური, არცა საზრდო რაიმე, არცა წამალი თოფისა, არცა ტყვია და ამისათვის დააგდო ციხე მისი და მცხოვრებნი მას შინა და წარვიდა დედაწულით თვისითურთ და ყოვლითა სახლეულებითა. რომელნიმე მცხოვრებნიცა წარჰყვეს მას, რომელნიმე დაშთეს მუნ და სხვანი განიბნივნეს სხვათა და სხვათა ადგილთა.

მაშინ წარვიდა იბრეიმ-ხანი ლტოლვილი ყოვლითა თვისთა მყოფითა; განვლო მდინარე მტკვრისა

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

და ალაზნისა, მივიდა და შეეხიზნა ლეკთა ჭარისა მო-
სახლეთა და დასდგა იგი დიდსა მას სოფელსა შინა,
რომელსაცა ბელაქნად სახელსდებენ. მაშინ აღა-მაჰმად-
ხან შევიდა ციხესა შუშისასა ყოვლითა მხედრობითა
სპარსთათა და დასდგა მუნ და ფრიად მრისხანებდა
იბრეიმ-ხანსა ზედა, რამეთუ ვერ იგდო იგი ხელად.
წარავლინა მხედრობანი თვისნი შირვანსა და შაქსა
ზედა და მოუწოდა ხანსა შამახიისასა და მოიყვანა თვის
თანა. და ვითარცა მოვიდა იგი შეიპყრა იგი, ვინაიდგან
მოსვლასა ზედა რუსთა მხედრობისა მიეგება წინა
ზუბოვსა მუსტაფა-ხან, და ზუბოვმა მიაპყრა დიდი
პატივი. მაშინ დიდისა განმზადებულებითა ჰყოფდა
მოსწრაფებასა წარსვლად საქართველოსა ზედა, მაგრამ
ესმოდა ამბავნი, რომელ ჯერეთ არიან მუნვე სიმრავლე
რუსთა მხედრობისა. ხოლო მეფე ირაკლი, თუმცა
იყვნეს მუნ ჯერეთ მხედრობანი რუსთანი, მაგრამ არა
სასოებდა მათ ზედა, ვინაიდგან განმზადებულ იყვნეს
იგინი მიქცევად როსიად. არამედ მეფე განამზადებდეს
ყოვლისა გულმოდგინებითა თვისთა მხედრობათა სა-
ქართველოისასა და ენება ბრძოლისა ყოფა. და იყოფო-
და იგი მას ჟამსა ტფილისს და სადგურებდა სასახლესა
შინა დედოფლისასა და მეფის ძე მემკვიდრე მუნვე.

მას ჟამსა, ოდეს იყო აღა-მაჰმად-ხან ციხესა შინა
შუშისასა და ენება წარმოსვლა ყოვლითა ძალითა
თვისითა, მაშინ შეითქვეს მსახურნი მისნი, ხუდადად,
ვინმე ისპაანელი და ორნი სხვანი თანამოსამსახურენი
აღა-მაჰმად-ხანისა.

დღესა ერთსა, ოდეს განთიადსა ილოცა და მერმე
დაიძინა, მაშინ შეთქმულნი მსახურნი მისნი დაესხნეს
მას ზედა კარავსა და განგმირეს მახვილითა და დააბ-
ურეს მას საბანნი. მოვიდა ხუდადად წინაშე მას ჟამსა
პირველისა მხედართმძღვანისა აღა-მაჰმად-ხანისასა,

**გადასვლა კითხვებზე:** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

სადუხ-ხანისა მიმართ და გამოუცხადა შემთხვეულებაი ესე საიდუმლოდ ყოველივე. მაშინ ფრიად შეშფოთებულ და შეძრწუნებულ იქმნა სადუხ-ხან და ჰკითხა მკვლელსა მას, თუ რაისა მიზეზისათვის მოაკვდინეს იგი, და მიუგო მან, რამეთუ გვექადდაო ჩვენს სიკვდილსა და შიშითა თავისა ჩვენისათა მოვაკვდინეთო იგი. ხოლო სადუხ-ხან უთხრა, რათა არავის უთხრან საქმე ესე და ხუთი ათასითა მხედრობითა დღესა მეორესა განეშორა ციხესა შუშისასა და მიჰმართა სახანოსა თვისსა შაღაღისა კერძო. სცნეს რა მხედრობათა აღა-მაჰმად-ხანისათა საქმე ესე და სიკვდილი ხანისა, შევიდეს კარავთა შინა აღა-მაჰმად-ხანისათა და განსძარცვეს იგინი. მერეთ შეედვათ მათ ფრიადი აღრეულობაი და განიყვნენ იგინი სხვად და სხვად ნაწილად და ძარცვიდეს მოყვასი მოყვასსა თვისსა და ხოცდეს ურთიერთას. ხოლო მცხოვრებთა შუშის ციხისათა იხილეს რაი ესე, შეკრბეს ერთად, მოუწოდეს მახლობელთა სოფელთა და მთათა შინა და ნაპრალთა კლდისათა დამალულთა კაცთასა და შეერთნეს იგინი შუშელთა და სტყვევნიდეს სპარსთა, ძარცვიდეს და ჰკულიდეს. მოჰკვეთეს თავი გვამსა აღა-მაჰმად-ხანისასა ყარაბაღელთა და წარუღეს ლეკთა შეხიზნულსა იბრეიმ-ხანს ბელაქნად. ვითარცნა სცნა ესე იბრეიმ-ხანმან, განიხარა ფრიად საქმესა ამას ზედა. ხოლო რომელთამე მახლობელთა აღა-მაჰმად-ხანისათა აღიღეს გვამი იგი თავმოკვეთილი ხელმწიფისა მათისა და წარიღეს სპარსეთად. დედამან ბაბა-ხანისამან, ძმის ცოლმან აღა-მაჰმად-ხანისა, რომლისა ძეი ჰყვა აღა-მაჰმად-ხანს მემკვიდრედ თვისად, წარიღო გვამი მისი დიდითა პატივითა ბაღდადს სალოცველსა სპარსთასა, სადაცა აქვსთ მათ საფლავი ალიასი, სიძისა მოჰამედისა, და მუნ იმარხებიან ხელმწიფენი და დიდებულნი სპარსეთისანი, და დაფლეს იგი მუნ.

**გადასვლა კითხვებზე:** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**

*კითხვები:*

(1) **31.1.** წყაროს მიხედვით, ჰქონდა თუ არა ქართველ მეფეს „რუსთა მხედრობის“ იმედი? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(1) **31.2.** წყაროს მიხედვით, რატომ შეითქვნენ აღა-მაჰმად-ხანის მოსაკლავად მისი მსახურები?

(1) **31.3.** წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რატომ მიმართეს აღა-მაჰმად-ხანის მკვლელებმა სწორედ სადუხ-ხანს?

(1) **31.4.** დაასახელეთ ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენა, რომელმაც განაპირობა ის გარემოება, რომ იმ დროს თბილისში მყოფი მეფე დედოფლის სასახლეში „სადგურობდა“?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **31.5.** რა ერქვა პიროვნებას, რომელიც მეფესთან ერთად „სადგურობდა“ დედოფლის სასახლეში და რატომ ახსენებს მას გამორჩეულად წყაროს ავტორი?

(2) **31.6.** რა კონკრეტული მიზნით იმყოფებოდა „რუსთა მხედრობა“ კავკასიაში და წყაროს მიხედვით, ვინ იყო მისი სარდალი?

(2) **31.7.** წყაროს მიხედვით, დაასახელეთ პიროვნება, რომელიც შეიპყრო შუშის ციხეში მყოფმა აღა-მაჰმად-ხანმა და რა მიზეზით?

(2) **31.8.** სრულად გადმოეცით, როგორ მოიქცნენ აღა-მაჰმად-ხანის მეომრები, როცა მისი სიკვდილის შესახებ შეიტყვეს?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **31.9.** წყაროს მიხედვით, ვინ აღიარა თავის მემკვიდრედ აღა-მაჰმად-ხანმა და რა ნათესაური კავშირი ჰქონდა მასთან?

(2) **31.10.** დავუშვათ, რომ უცნობია წყაროში აღწერილი მოვლენების თარიღი. ასეთ შემთხვევაში, წყაროში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრეთ აღწერილი მოვლენების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი (დაასახელეთ თარიღი). აუცილებლად წარმოადგინეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული თარიღის სათანადო დასაბუთება.

(3) **31.11.** წყაროს მიხედვით, ჩამოთვალეთ  სამი მიზეზი, რომელთა გამოც იბრეიმ-ხანმა უარი თქვა აღა-მაჰმად-ხანთან შებრძოლებაზე.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

**ინსტრუქცია დავალებისთვის № 32.** ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი დავალება და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. ყველა კითხვას გაეცით სრული და ამომწურავი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

## დავალება 32. სადისკუსიო თემის განსაზღვრა

(1) **32.1.** რომელი კონკრეტული თემის განხილვისას გამოიყენებდით N31 დავალებაში მოცემულ ისტორიულ წყაროს?

(1) **32.2.** გაკვეთილზე განსახილველი თემის უმთავრესი საკითხის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემის სათაური.

(2) **32.3.** ჩამოაყალიბეთ ორი ალტერნატიული პოზიცია, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დისკუსიისას.